Enormous efforts are made for the involvement of students into research work and their activation in the scientific sphere, which encourages the increase of their expertise and generation of new ideas.



ივანე ბერიტაშვილი
Ivane Beritashvili

For the purpose of determining fundamental, applied and innovative scientific-research priorities of the university, as a consequence of the reform, the Department of Scientific Research and Development was established. In the last few years, with its initiative, co-operation and support several major projects have been implemented – significant international conferences were held, Georgian scientists working at different foreign universities and scientific-research centers, as well as foreign scientists, were invited to deliver public lectures and workshops. The program 'Children's University' is being successfully accomplished.

From time to time, members of the department staff familiarise with the conditions of grant contests announced by state scientific funds and international foundations (GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS and others), spread the information, conduct a preliminary monitoring and registration of the grant projects and, if necessary, provide professional help.

On the initiative of the Department of Scientific Research and Development, the books published by 'Nova-Science' are regularly delivered to the faculty libraries. In particular scientific branches it has become possible to use the databases of different electronic libraries.

ფარავნის ტბის არქეოლოგიერი ექსპედიცია
Lake Paravani archaeological expedition

პირველი ნაბიჯები მეცნიერებისკენ

უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებში შეიქმნა დარგობრივი წრეები სტუდენტებისათვის და უკვე 1925 წელს გამოიცა პირველი სტუდენტური სამეცნიერო კრებულიც.

დღეს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, რომელშიც გაწევრიანებული არიან თსუ-ის ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორანტები, აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. ამ საზოგადოების თაოსნობით უნივერსიტეტში რეგულარულად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, ექსპედიციები ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების შესასწავლად.

ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები კრებულში იბეჭდება.

მეცნერებისა და სამეცნიერო დარგების პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზაციის ინიციატივით რეგულარულად ეწყობა ქართველ და უცხოელ მკვლევრებთან შეხვედრები, სემინარები, დისკუსიები.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება პერიოდულად გამოსცემს ლიტერატურულ ჟურნალს, რომელშიც იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწარმოებები, მათ მიერ თარგმნილი უცხოური ლიტერატურის ნიმუშები და კრიტიკული წერილები.

First Steps Towards Science

In the first years after the establishment of the university, branch circles for students were established and already in 1925, the first collection of students' scientific papers was published.

Today the Society of Students and Young Scientists, which comprises TSU Bachelors, Masters and Doctorates, is actively involved in the ongoing scientific and educational process. This society is the initiator of regular scientific conferences, exhibitions and expeditions aiming at studying the existing Georgian historical monuments inside and outside the country.

In order to populirise science and scientific branches, the organisation regularly holds meetings, seminars and discussions with Georgian and foreign researchers.

The Society of Students and Young Scientists periodically issues a literary journal which publishes students' literary works, translations and critical letters.

სტალინის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრი

სტუდენტური ხელოვნება

1938/39 წლის სეზონი

ფასი

ქალები:

მერი ბაციკაძე
დენ. გოზალიშვილი
ელენა დიდებულიძე
ცაცა ვარსემაშვილი
ჰენრიეტა ლეჟავა
ნათ. ფოცხვერაშვილი

კაცები:

კონსტ. ამაღლობელი
გრიგოლ ბახტაძე
არჩილ ბახტაძე
გურამ ბასიშვილი
ილია გედევანიშვილი
პეტრე გრუზინსკი
ალ. ელგენდერაშვილი
მოსე ზურაბაული
ოთარი თავყელიშვილი
იოსეფ თევდორაშვილი
შოთა თორთლაძე
დავით კერესელიძე
ბიძინა კაციტაძე
ბორის კანდელაკი
ლეო ლორთქიფანიძე
დემიკო ისაკაძე
ნიკო ნახუცრიშვილი
შოთა ნარსია
ივანე საყვარელიძე
შალვა საბანაძე
ირაკლი სიმონია
დავით უკლება
ირაკლი უგულავა
ლეო მშვილდაძე
გიორგი ხომერიკი
ვარლამ ხინთიბიძე
ვლადიმერ ტაბატ
ზაქარია ჩლაიძე
პროკოფ ჩიქვინიძ
დავით ცხაკაია
ალ. წერეთელ
გიორგი წერეთელ
შალვა ლოლაძე
გიორგი ქველაძე

სწარმოებს სუდიო ადგილ

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მხატვრულ თვითმოქმედებას. სხვადასხვა დროს უნივერსიტეტში არსებობდა სტუდენტური თეატრი, კამერული, სასულე და სიმფონიური ორკესტრები, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები.

2007 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კულტურისა და სპორტის ცენტრი, რომელიც სტუდენტურ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობს ახალგაზრდებს თავისუფალი დროის ორგანიზებასა და შემოქმედებითი ნიჭის რეალიზებაში.

განსაკუთრებით პოპულარულია ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი", ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი", გოგონათა ქართული ტრადიციული მუსიკის ანამბლი "გორდელა", სტუდენტური თაეტრი "სხვენი", მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური ფესტივალი "ერის ხმა", რომელშიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს.

უნივერსიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები დიდი წარმატებით გამოდიან ქართული კულტურის დღეების აღსანიშნავ კონცერტებსა თუ სხვადასხვა ფესტივალზე მრავალ ქვეყანაში.

Students' Creative Work

Since the 1920s, amateur art activities have occupied a special place in the university student life. At different times there existed - a Student Theatre; Chamber, Brass and Symphony orchestras; folklore and pop groups.

In 2007 was established a culture and sports centre which, in close cooperation with the Students' Self-government, helps students to organise their free time and realise their artistic talents.

The choreographic ensemble 'University', boys' singing group 'University', girls' ensemble of Georgian traditional music 'Gordela', Student theatre 'Skhveni' (attic) and the club of the merry and the sharp-witted enjoy special popularity. On the initiative of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, student festival 'Eris Khma' (the voice of the nation) is held annually, with different higher education institutions participating in it.

Within the framework of Georgian Culture Days, the creative staff of the university successfully participates in concerts and festivals held in many foreign countries.

უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული ქართული ალპინიზმის სათავეებიც. 1923 წელს, ცნობილი მეცნიერის, მეტალურგისა და მათემატიკოსის გიორგი ნიკოლაძის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო პირველი ლაშქრობა. 28 აგვისტოს თვრამეტმა ქართველმა ახალგაზრდამ, უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ორმა ჯგუფმა პროფ. გ. ნიკოლაძისა და პროფ. ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით განახორციელა ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე. 1925 წლის 12 აგვისტოს კი კვლავ ქართველმა ახალგაზრდებმა, გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, დაიპყრეს იალბუზის მწვერვალი. ასე ჩაიეყარა საფუძველი ქართულ საუნივერსიტეტო სპორტს, რომელმაც შემდგომში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

Above the Peaks of the Caucasus...

The origins of mountaineering are also connected with the university. In 1923, on the initiative of a noted scientist, metallurgist and mathematician Giorgi Nikoladze, the first mountain trip was organised. On 28 August, eighteen young people, two groups of university students and teachers led by professors G. Nikoladze and A. Didebulidze, performed an ascent to Mkinvartsveri. On 12 August 1925, once more Georgian youths headed by G. Nikoladze conquered Elbrus. This is how the Georgian university sport originated. Later it achieved tremendous success.



გიორგი ნიკოლაძე	Giorgi Nikoladze
ექსპედიცია ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით	Expedition led by A. Didebulidze
ლერი გოგოლაძე - ოლიმპიური პრიზიორი	Leri Gogoladze - Olimpic Champion
ლევან თედიაშვილი - მსოფლიო ჩემპიონი	Levan Tediashvili - The World Chempion

თბილისის უნივერსიტეტის გერბის ავტორი, მე-20 საუკუნის 20-30–იან წლებში ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე 1885 წელს ოზურგეთის რაიონში დაიბადა, საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო სამხატვრო ცოდნის მისაღებად ჯერ პეტერბურგში გაემგზავრა, შემდეგ კი მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. სტუდენტობის წლებში მას ფინანსურად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეხმარებოდა.

დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოში დაბრუნებისას, 1911 წელს, საფუძველი ჩაუყარა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომელიც ქართველ მხატვართა პირველი პროფესიული ორგანიზაცია იყო. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა მხატვართა, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა დაახლოება-შეკავშირება, აგრეთვე, ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, დაცვა და შესწავლა.

დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით1920 წელს საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი - ,,საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა” გაიხსნა, რომლის ხელმძღვანელობაც მასვე დაეკისრა. ევროპული აკადემიური განათლება და ეროვნული კულტურის გრძნობა განაპირობებდა მხატვრის შემოქმედებისა და, საერთოდ, მთელი მისი მოღვაწეობის მიმართულებას. სწორედ ამის გამო, დიმიტრი შევარდნაძე 1937 წელს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

გერბი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ბიზანტიურ, ანუ აღმოსავლურ, მრგვალ ფარს. მასზე დატანილია ირემი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს.

გერბის კომპოზიციას საფუძვლად უდევს ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს ჭვირული ბალთების მთავარი დეტალი. ბალთები თავისი შინაარსით ბუნების კულტთან დაკავშირებულ მითოლოგიურ კომპლექსს ასახავენ.

ბალთებზე გამოსახული ყველა ფიგურა ნაყოფიერების ქალღვთაების ზოომორფული სახეა. ხოლო სიმბოლიკა ქართველ და, საერთოდ, კავკასიელ ტომთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება.

ფარის 25 სპირალისებრი ორნამენტისგან შექმნილ მოჩარჩოებას გარს ერტყმის 24 ფიგურისაგან შემდგარი ჩარჩო. ფიგურები რეალისტურ თუ ფანტასტიკურ ცხოველებსა და ფრინველებს განასახიერებენ.

კუთხოვან-წნულ ჩარჩოში ჩასმული ეს ფიგურები, რომლებიც ფარის ცენტრის ირგვლივ მოძრაობენ, იშხნის მცირე ეკლესიის ხუროთმოძღვრული მორთულობის მიხედვითაა შექმნილი. დიმიტრი შევარდნაძემ იშხნის მცირე ეკლესიის მორთულობის ცხრამეტი ფიგურა ოცდაოთხამდე

შეავსო ისე, რომ არ დაურღვევია სტილური მთლიანობა.

უნივერსიტეტის გერბი თაობათა ერთიანობის ჰერალდიკური ნიშანია.

1922 წელს უნივერსიტეტის პირველმა კურსდამთავრებულებმა, პროფესორთა საბჭოს ნებართვით, უფლება მიიღეს, ეტარებინათ თსუ გერბის გამოსახულებით დამშვენებული სამკერდე ნიშნები, წარწერით: „ტფილისის უნივერსიტეტი. 1922 წელი".

პირველი ბეჭედი

გერბის ფიგურა გამოსახული იყო უნივერსიტეტის ბეჭედზე, რომლის ესკიზიც 1918 წლის 5 თებერვალს ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მე-4 სხდომამ დაამტკიცა.

უნივერსიტეტის ბეჭდით ხდებოდა დოკუმენტების დამოწმება (მათ შორის დიპლომების). გერბი გამოსახული იყო საუნივერსიტეტო გამოცემებზე 1929 წლამდე.

30-იანი წლებიდან შევარდნაძისეული ბეჭედი და გერბი გადავარდა ხმარებიდან და მათი ადგილი უნივერსიტეტის გრაფიკულმა ნიშანმა დაიკავა. ეს იყო მთავარი შენობის ფასადის გამოსახულება (70-იანი წლებიდან მას ზოგჯერ მაღლივი კორპუსის ფასადიც ენაცვლებოდა).

უნივერსიტეტის გერბის პირვანდელი სახე მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აღდგა.



University Coat of Arms

The Coat of Arms Author

The author of the university coat of arms, one of the most outstanding representatives of Georgian culture of the 1920s and 1930s, Dimitri Shevardnadze was born in Ozurgeti, in 1885. He got his secondary education in Kutaisi and his artistic education - first in Petersburg and then in Munich Academy of Arts. While being a student, he was financially supported by the Society for the Spread of Literacy among Georgians.

In 1911, on returning to Georgia, Dimitri Shevardnadze established the Society of Georgian Artists which was the first professional organisation uniting Georgian painters. The society aimed at: convergence-amalgamation of artists, sculptors and architects; the dissemination of different artistic branches among Georgians, as well as collection, protection and study of pieces of old Georgian art. In 1920, the first Georgian museum of fine arts - The National Arts Gallery of Georgia - was opened. D. Shevardnadze participated in this event and was appointed head of the museum. The European academic education and the sense of national culture determined the main trend of the artist's creative work and of his activities, in general. That is why, Dimitri Shevardnadze became a victim of Soviet repressions in 1937.

Coat of Arms

Ivane Javakhishvili Tbilisi State University coat of arms represents a Byzantine, i.e. oriental round shield which depicts a deer suckling its fawn.

The coat of arms is based on the main detail of the Bronze Age - openwork buckles belonging to the antique epoch. According to their meaning, the buckles express a mythical complex connected with the cult of nature.

All the figures depicted on the buckles represent a zoomorphic image of the Goddess of Fertility. The symbolism of the buckles is linked to the ancient religious beliefs of Georgian and, in general, of all the Caucasian tribes.

The setting made up of 25 spiral ornaments is encircled by a frame including 24 figures which personify realistic and fantastic animals and birds.

These figures set in the angular-woven frame moving around the centre of the shield were created according to Ishkhani Minor Church embelishments. Instead of 19 figures Dimitri Shevardnadze depicted 26, so that he did not violate the integrity of style.

In 1922 the first University graduates were permitted to wear badges decorated with TSU coat of arms and the inscription: 'Tbilisi University 1922'.

იშხნის მცირე ეკლესია

Ishkhani Minor Church

The First Seal

The emblem of the coat of arms, whose sketch was approved at the fourth meeting of the newly established University Professors' Board on 5 February 1918, was figured on the university seal.

The university seal was used to confirm documents (among them diplomas), while the coat of arms was applied to the university editions until 1929.

In the 1930s, both the seal and the coat of arms were replaced by the university graphic symbol. It was the picture of the university main building facade (since the1970s it was sometimes substituted by the high-rise building facade).

The initial shape of the coat of arms was restored in the 1990s.



შეიძლება ითქვას, რომ ახალდაარსებულმა თბილისის უნივერსიტეტმა საქართველოში იმ დროს არსებული მუზეუმების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობაც ითავა. ივ. ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის პროფესურის მთავარ საზრუნავად იქცა ქვეყნის ძნელბედობის ჟამს რუსეთსა თუ უცხოეთში გაფანტული ეროვნული საგანძურის დაბრუნება. ისინი თვალყურს ადევნებდნენ საზღვარგარეთ გამოცემულ უნიკალურ წიგნებს, რარიტეტებსა თუ ხელნაწერებს და ცდილობდნენ მათ შესყიდვას უნივერსიტეტისათვის.

The Museum Fund

It can be said that the university took the initiative of observing and administering the Georgian museums of that time. Returning the national treasure scattered all over Russia, as well as foreign countries, during hard times became a major cause for concern of Ivane Javakhishvili and other university professors. They looked for unique books published abroad, for rarities and manuscripts and tried to buy them for the university.



ახალდაარსებული უნივერსიტეტი თანდათან უნიკალური კოლექციებითა და კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის საჭირო მოწყობილობებით მდიდრდებოდა. ერთ-ერთი პირველი ასეთი შენაძენი ცნობილი რუსი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ნეგატივებისა და სურათების კოლექცია იყო. ივ. ჯავახიშვილი ამ კოლექციის შესახებ ერთგან წერდა: „ამის წყალობით ჩვენს ხელთ არის არამცთუ მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის და სპარსეთ-ოსმალეთის საისტორიო ძეგლებისა, ბუნებისა და მცხოვრებთა მრავალი სურათები, რომელთა შეძენა არსად სხვაგან არ შეიძლება“...

Gradually the newly founded university was enriched with unique collections and lab equipment. One of the first purchases was a collection of negatives and photos by a famous Russian photographer Dimitri Ermakov, about which Ivane Javakhishvili wrote: 'Owing to it, we not only have dozens of photos of historical monuments, nature and inhabitants of Georgia, but also of Transcaucasia, Persia and Turkey, which cannot be obtained anywhere else...'

უნივერსიტეტის მუშაობის პირველ წლებშივე შესაძლებელი გახდა ხელოვნებათმცოდნეობის, კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის, ბოტანიკის, დენდროლოგიის, ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კაბინეტების მოწყობა, რომელთა ფონდები მრავალ უნიკალურ ექსპონატს შეიცავდა. საგანგებოდ ეწყობოდა ექსპედიციები ბოტანიკისა და ზოოლოგიის კოლექციების შესაგროვებლად.

During the very first years of the university's activity, it became possible to organise rooms for Art History, Crystallography and Mineralogy, Botany, Dendrology, Zoology and Entomology studies with lots of rare exhibits in their funds. Special expeditions were held for gathering collections in Botany and Zoology.

ჯერ კიდევ 1919 წლის 28 ნოემბერს ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას და შესთავაზა უნივერსიტეტში ხელოვნების კაბინეტის ან მუზეუმის მოწყობის გეგმა.

მუზეუმისათვის შეირჩა უნივერსიტეტის შენობაში არსებული გაუქმებული სამლოცველო, სადაც 1924 წლიდან განთავსდა უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელშიც დაცული იყო ქართული ჭედური ხელოვნების

სახარება, 1709 წელი

New Testament, 1709

IX-XIX საუკუნეების უნიკალური ნიმუშები, მინანქრის, დაზგური ფერწერის, ნაქარგობის, ხის ნაკეთობათა კოლექციები. ეს მუზეუმი 1930 წლამდე ფუნქციონირებდა.

უნივერსიტეტში სხვადასხვა პროფილის მუზეუმებიც იქმნებოდა. ასე მაგალითად, სტუდენტთა აგრონომიული წრის წევრთა ინიციატივით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, რომელსაც 1922 წელს პეტრე მელიქიშვილის სახელი მიენიჭა.

უნივერსიტეტში სატყეო მუზეუმიც არსებობდა, რომელშიც 1923 წელს ლიკანის სასახლიდან გადმოზიდული კოლექციები განთავსდა (უნივერსიტეტის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდგომ ეს მუზეუმიც ამ ინსტიტუტს გადაეცა).

On 28 November 1919, an art historian Giorgi Chubinashvili applied to Tbilisi State University administration and offered them a plan of establishing an art room or a museum within the university.

The abolished chapel inside the university building was selected, in which the university Old Georgian Art Museum functioned from 1924 till 1930. Unique samples of IX-XIX cc. Georgian embossing, cloisonné enamel, paintings, embroidery and woodwork were preserved in its collections.

Museums of different profiles were created at the university. For example, on the initiative of the students' agronomic circle was established an Agrarian Museum, which in 1922 was named after Petre Melikishvili.

The University also had a Forestry Museum where the collections brought from Likani palace in 1923 were displayed (after the foundation of the Agrarian Institute on the basis of the university, the museum was handed over to the institute).

On 10 June 1921, the Church Museum was transferred to the university. The Professors' Board appointed Korneli Kekelidze head of the museum and Mose Janashvili - his assistant. The Antiquities Museum was founded at the same time.

1921 წლის 10 ივნისს უნივერსიტეტს გადმოეცა საეკლესიო მუზეუმი, რომლის გამგედ პროფესორთა საბჭომ კორნელი კეკელიძე, ასისტენტად კი მოსე ჯანაშვილი დანიშნა. ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა სიძველეთა მუზეუმს.

20-იანი წლების შუა ხანებში უნივერსიტეტის შენობაში ოთხმა მუზეუმმა მოიყარა თავი: აქ, ,,სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის" (იგი ქართულ ხელნაწერთა განსაკუთრებით მდიდარ კოლექციას ინახავდა, რომლის ძირითად ფონდებს შეადგენდა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციები) გარდა, არსებობდა ,,საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი'', რომელშიც თავმოყრილი იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მდიდარი მასალა. უნივერსიტეტის შენობაში მდებარეობდა ,,ქართული გამოცემებისა და წიგნების გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი'' (ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების), რომელშიც დაცული იყო ხელნაწერები, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური კოლექციები, ბრინჯაოს ხანის ჭედური ნიმუშები; მუზეუმს ჰქონდა თბილისში დაბეჭდილი ქართული გამოცემების უმდიდრესი ბიბლიოთეკა. 1925 წელს, განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კოლექციები უნივერსიტეტს გადმოეცა. თუმცა მოგვიანებით, 1937 წელს, ეს უმდიდრესი ფონდი საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას, ხელნაწერები კი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა (დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება).

სულხან- საბა ორბელიანისეული
მსოფლიო ატლასი

World atlas belonging to Sulkhan-Saba Orbeliani

In the mid twenties there were four museums in the university building: The State University Antiquities Museum (with an unusually rich collection of Georgian manuscripts, the main funds of which were based on the former Antiquities Museum collections); Georgian Historical-Ethnographic Museum, where significant materials of the Georgian Historical-Ethnographic Society were gathered; the Museum of the Society Disseminating Georgian Publications and Books (former Society for the Spread of Literacy) in which manuscripts, ethnographic and numismatic collections and samples of the Bronze Age chased work were kept. The museum also had the richest library of Georgian publications printed in Tbilisi. In 1925, by order of People's Commissariat for Education, all the collections belonging to the Literacy Society were transferred to the possession of the university. However, in 1937, this remarkable book fund was given to Georgian State Public Library, while the manuscripts (presently kept in the National Centre for Manuscripts) – to the State Museum of Georgia.

By 1926, the university had several subordinate scientific-educational centres, among them were - Mineralogy (head, Prof. A. Tvalchrelidze), Art History (head, Prof. G. Chubinashvili), Geology (head, Prof. A Janelidze), Zoology (head, Docent G. Javakhishvili), Anat

ერაზმ როტერდამელის "საუბრები",
ამსტერდამი, 1526 წელი

Erasmus Roterdamus, 'Dialogues'
Amsterdam, 1526

1926 წლისთვის უნივერსიტეტს ჰქონდა რამდენიმე დამხმარე სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება, მათ შორის, მინერალოგიის (გამგე პროფ. ა. თვალჭრელიძე), ხელოვნებათმცოდნეობის (გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილი), გეოლოგიის (გამგე პროფ. ა. ჯანელიძე), ზოოლოგიის (გამგე დოც. გ. ჯავახიშვილი), მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის (გამგე ვ. ალექსანდროვი), ენტომოლოგიის (გამგე პროფ. ა. ჯავახიშვილი), ნუმიზმატიკის (გამგე თ. ლომოური), ფოტოგრაფიის (გამგე თ. კიუნე), აგრეთვე, სიძველეთა (გამგე პროფ. კ. კეკელიძე) და ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის (გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილი) მუზეუმები, სადაც თავმოყრილი იყო უამრავი ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატი.

ამჟამად უნივერსიტეტის სამუზეუმო ფონდი ათიათასობით ექსპონატს ითვლის. აქ დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებასა და ისტორიასთან დაკავშირებული უნიკალური ფოტომასალა, ხელნაწერები, გამოცემები; უნივერსიტეტის დამაარსებელთა მემორიალური ნივთები, თანამედროვე გამოჩენილი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, უნივერსიტეტისათვის გადმოცემული საჩუქრები.

Lado Gudiashvili - ‘Mindia’
Levan Choghoshvili - ‘Family’

ლადო გუდიაშვილი - “მინდია”
ლევან ჭოღოშვილი - “ოჯახი”

omy and Physiology of Plants (head A. Aleksandrov), Entomology (head, Prof. A Javakhishvili), Numismatics (head T. Lomouri) and Photography (head T. Kiune) laboratories.

At present the university museum fund includes tens of thousands of exhibits. It preserves: unique photo materials regarding the university foundation and history; manuscripts, publications and memorabilia belonging to the founders of the university; paintings and graphics of outstanding modern Georgian artists, as well as gifts.

თენგიზ მირზაშვილი - "გაზაფხული"
Tengiz Mirzashvili - 'Spring'

უნივერსიტეტის მინერალოგიის კოლექციები თავისი უნიკალურობით და მრავალფეროვნებით ერთადერთია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში. მინერალოგიის ფონდში დაცულია კერძო პირებისგან შეძენილი და საჩუქრად მიძღვნილი, აგრეთვე, უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ექსპედიციებისას მოპოვებული 10000-მდე ექსპონატი. აქ ინახება ხალასი და იშვიათი ელემენტები (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, გოგირდი, გრაფიტი), სულფიდები,ჰალოგენიდები (სუფრის მარილი, ფლუორიტი), რკინის ჟანგბადოვანი ნაერთები, კვარცის სახესხვაობები (ტიტანის, კალის მინერალები), კვარცის ფარულკრისტალური სახესხვაობები (აგატი, ქალცედონი, იასპი, ოპალი), კარბონატები (კალციტი, კირქვა, ცარცი, არაგონიტი, ონიქსი, სმიტსონიტი), სპილენძის მეორადი მინერალები (მალაქიტი, აზურიტი), სულფატები (თაბაშირი, სელენიტი, ალუნიტი), ჟანგბადოვანი მარილები (ფოსფორიტები, აპატიტი, ფირუზი), გრანატების ჯგუფის მინერალები (ცირკონი, ტოპაზი, სტავროლიტი), პიროქსენები, ბერილი, ტურმალინი, ამფიბოლები, ჟადეიტი, როდონიტი, ქარსის ჯგუფის მინერალები და სხვა.

The university diverse mineralogy collections are unique not only in Georgia, but in the whole South Caucasia. The fund keeps up to 10 000 exhibits purchased from or granted by private owners, also materials obtained by university employees and students during different expeditions. It includes pure and rare elements (gold, silver, copper, sulfur, graphite); sulfides, halogenides (sodium chloride, fluoride); ferric oxide compounds, different varieties of quartz (titanium, potassium chloride); cryptocrystalline varieties of quartz (agate, chalcedony, jasper, opal); carbonates (calcite, limestone, chalk, aragonite, onyx, smithsonite); secondary minerals of copper (malachite, chessylite; sulfates (gypsum, selenite, alunite); oxidized salts (phosphorites, apatite, turquoise); garnet group minerals (zirconium, topaz, staurolite); pyroxenes, beryl, tourmaline, jadeite, rhodonite, mica group minerals and others.

ზოოლოგიური კოლექციები 5000–მდე ეგზემპლარს ითვლის. აქ წარმოდგენილია უნიკალური მარჯნის პოლიპები, პეპლები, ხოჭოები, მოლუსკები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები. ფრინველთა უნიკალური კოლექცია მთლიანად ასახავს საქართველოში ბინადარ და გადამფრენ ფრინველთა ყველა სახეობას.

უნივერსიტეტის სამუზეუმო ფონდში იშვიათი გეოგრაფიული რუკები და ატლასები, პალეონტოლოგიური კოლექცია, არქეოლოგიური ექსპონატები ინახება.

1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესორ გურამ შარაძის პირადი ფონდის ბაზაზე, ქართული ემიგრაციის მუზეუმი დაარსდა. მუზეუმში დაცულია ქართული ემიგრანტული წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, ცნობილ ემიგრანტთა მემორიალური ნივთები, ვიკტორ ნოზაძის პარიზული ქართული სტამბა და ა.შ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორის, ვიკტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზურაბ ავალიშვილის, შალვა მაღლაკელიძის, გიორგი მაჩაბლის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ივანიცკი-ინგილოს, კალისტრატე სალიას და სხვათა არქივები.

The zoological collections consist of approximately 5000 exhibits, which include unique collections of corals, butterflies, beetles, shellfish, amphibia, reptiles, birds and mammals. The collection of birds comprises all the local and migrant species.

The university fund also preserves the original geographical maps and atlases, a palaeontological collection and archaeological exhibits.

In 1994, on the basis of professor Guram Sharadze's personal fund, the Georgian Emigration Museum was founded. It contains Georgian emigrants' books, periodicals, personal archives, photo, audio and video archives, famous emigrants' memorabilia, Victor Nozadze's well-known Parisian Georgian-language printing press. A special attention should be given to the archives of Noe Zhordania, Akaki Chkhenkeli, Konstantine Kandelaki, Evgeni Gegechkori, Victor Nozadze, Grigol Robakidze, Mikhako Tsereteli, Ekvtime Takaishvili, Zurab Avalishvili, Shalva Maghlakelidze, Giorgi Machabeli, Giorgi Gvazava, Rapiel Ivanitski-Ingilo, Kalistrate Salia and others.

1917 წლის 19 დეკემბერს გამართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინასწარ სხდომაზე, სადაც განიხილებოდა მომავალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა და უნივერსიტეტში მიღების პირობები, ივანე ჯავახიშვილმა კოლეგებს გააცნო გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძი, რომლის თანახმად, მისი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადმოეცა.

ამ კერძო კოლექციამ საფუძველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავს, რომელიც უმთავრესად კერძო პირთა თუ დაწესებულებების შემოწირულობების ხარჯზე იზრდებოდა. ორი წლის შემდგომ უნივერსიტეტის ფონდში 100 ათასზე მეტი წიგნი იყო დაცული. ბიბლიოთეკას გადმოეცა თბილისის სასულიერო სემინარიის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სათავადაზნაურო გიმნაზიის წიგნთსაცავები. განსაკუთრებით გამდიდრდა ბიბლიოთეკა კერძო შემოწირულობებით. უნივერსიტეტს შემოემატა დავით სარაჯიშვილის, სვიმონ კლდიაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარლის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ვასილ პეტრიაშვილის პირადი კოლექციები. წიგნის მაღაზიები და გამომცემლობები საჩუქრად უგზავნიდნენ მათ მიერ დასტამბულ თუ შეძენილ გამოცემებს. საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ქართველი მეცნიერები უნივერსიტეტისთვის ყიდულობდნენ წიგნებს.



დაარსებისას ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა პროფესორი გიორგი ახვლედიანი, შემდგომ წლებში - პროფესორები აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე...

1938 წელს უნივერსიტეტის წიგნთსაცავს ფუნდამენტური ბიბლიოთეკა ეწოდებოდა, 1950 წლიდან კი — სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

1997 წელს უნივერსიტეტის წიგნთსაცავს გრიგოლ წერეთლის სახელი მიენიჭა.

საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულია სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, ქართული და უცხოური იშვიათი წიგნები და პერიოდული გამოცემები.

კიტა აბაშიძე

Kita Abashidze

ილუსტრაცია გაგარინის ალბომიდან "თვალწარმტაცი კავკასია"

llustration from Gagarin's album 'Wonderful Caucasus'

SYNTAGMATΩN

LINGVARVM ORIENTALIVM

QVÆ IN GEORGIÆ REGIONIBVS AVDIVNTVR

LIBER PRIMVS

Complectens Georgianæ, ſeù Ibericæ vulgaris linguæ

INSTITVTIONES GRAMMATICAS

AVTHORE

D. FRANCISCO-MARIA MAGGIO,
CLERICO REGVLARI, PANORMITANO.

ROMAE,
Ex Typographia Sacræ Congregationis de Propaganda Fide.
M DC LXX.

Z D A A K

SVPERIORVM PERMISSV.



At the preliminary meeting of the University Professors' Board, held on 19 December 1917, where the curriculum and the conditions for the admission to the future University were being considered, Ivane Javakhishvili read the will of the publicist Kita Abashidze to his colleagues, according to which his library was to be donated to the University.

This private collection lay the foundation of Tbilisi State University book depository, which continued to grow, mainly due to the donations of private persons and organisations. Two years later, the University fund included over 100 thousand books. The book stacks of Tbilisi Theological Seminary, the Council of the Black Stone Producers, the former Censorship Committee of Caucasus, the Society Spreading Literacy among Georgians and the Gymnasium for the Nobility were all donated to the University. The Library fund gained particularly from private donations.

The private collections of D. Sarajishvili, S. Kldiashvili, P. Melikishvili, E. Takaishvili, A. Tsagareli, D. Bakradze, T. Zhordania and V. Petriashvili were also added to the library. Book shops and publishing houses used to send the library their own publications or purchased books. Georgian scientists, visiting foreign countries with academic mission, also bought books for the University.

The newly founded library was headed by Professor Giorgi Akhvlediani. Later it was supervised by Akaki Shanidze, Grigol Tsereteli, Shalva Nutsubidze...

In 1938, the University book depository was given the name of the Fundamental Library, and since 1950 - the Scientific Library. In 1997 the university library was named after Grigol Tsereteli.

The funds of one of the richest libraries in Georgia include scientific and educational literature, rare Georgian and foreign books, as well as periodicals.

„ვეფხისტყაოსანი", 1712 წ.

'The Knight in the Panther's Skin', 1712



უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დაიწყო ზრუნვა სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის ორგანიზებაზე, მაშინ, როდესაც საამისოდ ჯერ კიდევ არ არსებობდა არც განსაკუთრებული ფულადი სახსრები და არც საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა. წიგნები კერძო სტამბებში იბეჭდებოდა. საგამომცემლო საქმეს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისია. გამომცემლობის სახსრებს ძირითადად ოთხპროცენტიანი ნებაყოფლობითი ანარიცხი შეადგენდა პედაგოგიური პერსონალის ყოველთვიური ხელფასიდან.

1919 წელს უკვე გამოიცა ,,თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1, I ნაკვეთი''. იმავე წელს გამოქვეყნდა ზ. ყანჩაველის ,,გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკევევი. პრაქტიკულ ვარჯიშობის დროს სახმარებელი'' და გ. მუხაძის ,,საზოგადო ქირურგიის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია''.

1923 წელს გაიხსნა უნივერსიტეტის სტამბა, ხოლო 1933 წელს დაარსდა უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამომცემლობაში იბეჭდებოდა ცნობილ მეცნიერთა ნაშრომები, გამოკვლევები და სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. დიდი რაოდენობით დაისტამბა საშუალო და ახალგაზრდა თაობის მკვლევართა წიგნები თუ შრომათა კრებულები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა დღემდე აგრძელებს აკადემიური და სასწავლო ლიტერატურის გამოცემას, მუშაობს ორიგინალური და ნათარგმნი საგამომცემლო პროექტების განხორციელებაზე.



TSU Press

With the foundation of the university, the problem of arranging the publication of scientific works and textbooks became the issue of primary concern, although there were neither special funds nor a private polygraphic base to fulfill this initiative. Books were printed in private printing houses. The publishing business was managed by the University Publishing Commission. The funds of the publishing house mainly consisted of four percent voluntary contributions made by the university academic staff from their monthly salary.

In 1919, 'Tbilisi University Bulletin, 1, Part I' was published. Later that same year two more books came out – 'A Reference Book of Ferny and Flowering Plants. For Practical Use' by Z. Kanchaveli and 'The Russian-Georgian Terminology of General Surgery' by G. Mukhadze.

In 1923, the University printing house was opened, and in 1933 the university press was established.

The university press published works of outstanding authors, research papers, textbooks, lecture courses as well as training methodology handbooks. A large number of books and proceedings compiled by researchers belonging to middle and young generations were printed too.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press still continues publishing academic and educational books, and accomplishing original and translated publishing projects.


თ. ს. უ.
16207
ბიბლიოთეკა

ზ. ყანჩაველი

გვიმრანაირ
და
ყვავილოვან მცენარეთა
სარკვევი.

პრაქტიკულ ყარგიობის დროს სახმარებელი

გამოცემა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა.

ტფილისი
სტამბა „ქარ. მეტყველთა ამხანაგობისა“ გოლოვინის ქუჩა, № 26.
1919 წ.

,,ეს ათას უძალოესი და ულაძესი

სამშობლოს საყვარულისა?''

წერდა თავის დღიურში უნივერსიტეტის მომავალი სტუ-
დენტი, 17 წლის მარო მაყაშვილი. 1918 წელი იდგა და საქართ-
ველოში დიდი საბედისწერო ცვლილებების მოახლოება
იგრძნობოდა.

“საკვირველი არ არის, რომ ქალებმაც კი იარაღით ხელში დახმარება აღუთქვეს მთავრობას – ქართველი ქალი, ქართველ ვაჟებთან ერთად, მამაპაპურ ხმალს უბრუნდება... სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, რომ იგი მზადაა, მიუხედავად იმისა, ეხებათ მათ თუ არა მობილიზაცია, ჩაეწერონ ჯარის ნაწილებში და წავიდნენ იქ, სადაც მათ მოუწოდებთ მთავრობა, მათი მამულიშვილური მოვალეობის შესასრულებლად“

ელისე,
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.

ორ წელიწადში მარო მაყაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ფრანგული და ინგლისური ენების საფუძვლიანი შესწავლა და ევროპული კლასიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა.



1921 წელს საქართველოში კომუნისტური რუსეთის ჯარები შემოვიდნენ. დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე რეალური გახდა.

,,ოჯ, როდის უნდა ამოვლუნთქოთ თავლუფლად?! როდის ყოველდღეს წალოტ-ტოვით ზეცნი ქეყანა?.. ამა, ქართველი ერი ძინე და გულადი ამის, ამავლის დაანგებენ თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული ულიდესია, სხვა ყველა გრძნობაზე ძალა სდგას. შეებრძოლებენ მტერს სიცხლის უკანასკნელ წვეთამდის. შეებრძოლებენ და ან სიკვდილი, ან გაძარცვენ. აი, ლეგიზი ქართველი ერისა''.

მარო მაყაშვილის დღიურიდან

განვითარებული ურთულესი კატაკლიზმები მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც. სამიოდე წლის წინ მოპოვებულ დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოჰყვა. დამფუძნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას სრულიად საქართველოს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამ მოწოდებას აქტიურად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტობამ. სამშობლოს თავისუფლებისათვის ომში მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად, ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა:

“პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ.

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი

სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის.“



ქართველმა იუნკრებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან, მაგრამ ქართული ჯარი სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაცია ეჭვს აღარ იწვევდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც რუსული არმიის ზარბაზნების ხმა უკვე თბილისის შემოგარენშიც გაისმა, 17 თებერვალს, მშობლებისა და ახლობლების თხოვნის მიუხედავად, უნივერსიტეტის სტუდენტი — ლამაზი, თვინიერი გოგონა მარო მაყაშვილი — წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაეწერა და იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად კოჯრისკენ წავიდა.

,,სიყვარული ძაძა, იე ჯერ ჯერობით კარგად კარ... ბევრი ჯერ შორს ვრცელ. ძალიან სიხარბენ ზეფნენი. ძალიან ალფრთოვანებული ვრცელ... ყველანი ძალიან ძალლიფრნი ვრცელ ზეძეთ... კოგა თხილი თუ შეესაძლებელია და რაიე ტრენილეული გაძოგზავნეთ... ნუ გეშინინ. გაიაძარჯვეთ სახელოვნად. შენი ძარო'',

ამ ბარათის დაწერიდან რამდენიმე საათში, 19 თებერვლის საღამოს, ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა სიფრიფანა გოგონას სიცოცხლე.

23 თებერვალს სამხედრო ტაძრის გალავანთან, 21 ქართველი იუნკრის საფლავებთან ახლოს, განცალკევებით დაკრძალეს მარო მაყაშვილი... რამდენიმე წელიწადში კომუნისტებმა ეს ტაძარი ააფეთქეს და სოციალისტური საქართველოს მთავრობის სასახლე ააგეს. მარო მაყაშვილის საფლავიც დაიკარგა...

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი...
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!..”

თავად კოტე მაყაშვილის ეს ლექსი, რომელიც მან ქალიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდგომ გამოაქვეყნა, აკრძალული ჰქონდა საბჭოურ ცენზურას.

ქართველმა სტუდენტებმა უნივერსიტეტის გახსნის მეოთხე წლისთავი გლოვით აღნიშნეს. „26 იანვარი არის ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღე. ეს დღე ქართველმა სტუდენტობამ თავიდანვე თავის ტრადიციულ დღედ აღიარა და ყოველწლიურად საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით დიდი ზეიმით იხდიდა მას. წასულის 25 თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ტლანქად გაითელა უცხო უხეში ძალის მიერ, ქართველ ერს დაუდგა მძიმე სამგლოვიარო დღეები და ყოველი საზეიმო დღესასწაული შავი ძაძებით შეიმოსა, ცხადია, რომ ქართველი სტუდენტობა, განუყოფელი ნაწილი მთელი ერისა, ჩვეულებრივად ვერ იდღესასწაულებდა თავის ტრადიციულ დღეს — ეროვნული კულტურის დასაწყისს - და ვერ დაარღვევდა ეროვნულ მთლიან გლოვას. ასეც მოხდა. ქართველმა სტუდენტობამ 26 იანვარი მწუხარების დღედ გამოაცხადა. ამისთვის განიზრახა სამგლოვიარო პანაშვიდის გადახდა იმ გმირთა ხსოვნისათვის, რომელნიც გმირულად დაიხოცნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის გადახდილ ომებში.”

— წერია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის ბიულეტენში, რომელიც 1922 წელს გაავრცელეს ახალგაზრდებმა.

სტუდენტობა ყოველთვის სტუდენტობაა... დაუღალავი, მეოცნებე, ეროვნული ენერგიის მატარებელი... თავისუფლებადაკარგული ქვეყნის სტუდენტობა მით უფრო დაუდგრომელი სულისკვეთებითაა განმსჭვალული. თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობის წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისადმი ხან მინავლდებოდა, ხან კი ახალი ძალით იფეთქებდა. უნივერსიტეტის თეთრი კედლები არასოდეს მიუტოვებია ტაბახმელის თეთრ თოვლში მოცელილი ახალგაზრდა მარო მაყაშვილის მეამბოხე ენერგიას, ხან ჩნდებოდა, ხან ჟამს მიეფარებოდა, რათა ახალი ძალით გამოჩენილიყო 1942 წლის შეთქმულთა, სამანელების (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები) ამბოხში, 1978 წელს ქართული ენის დამცველი ახალგაზრდების, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი სტუდენტური მოძრაობის, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველ მებრძოლთა სახით...

უნივერსიტეტელი სამანელები თანაკურსელებთან ერთად

‘Samanelebi’ - Young Georgian Nationalists

თსუ სტუდენტები - ნუგზარ წიკლაური და **დათო ტურაშვილი** (80-იანი წლების ბოლო)

საქართველოს ახალგაზრდობაში განსაკუთრებული მოვლენა იყო სტუდენტური ექსპედიციები კულტურის ძეგლების აღსადგენად. იმ დროს, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა კომკავშირულ მესამე შრომით სემესტრებს რუსეთის თვალუწვდენელ ველებსა თუ ციმბირის ტყეებში გაურკვეველ მშენებლობებზე ატარებდა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა სამხრეთ საქართველოში ისტორიული ტერასების, ეკლესიებისა და ციხესიმაგრეების აღსადგენად წასვლა გადაწყვიტეს. მაშინ სამხრეთ საქართველო ჩაკეტილი იყო საბჭოთა სასაზღვრო ჯარით. საზღვრის გადაკვეთა, ჩვეულებრივ შემთხვევაში, დიდ სირთულეს წარმოადგენდა. თუნდაც მხოლოდ ამ სირთულის გადალახვაც კი იმის განცდას აძლიერებდა, რომ ქართველი სტუდენტები უნიტარული საბჭოური რეჟიმისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოთქვამდნენ პროტესტს და მიდიოდნენ იქ, სადაც ქართული ეროვნული კულტურის ფუძე და სულიერი საძირკველი ეგულებოდათ.

80-90-იანი წლების საქართველოში სტუდენტური მოძრაობის დაწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესკლუბის წევრების სახელთანაა დაკავშირებული, თუმცა პრესკლუბის ჩამოყალიბებას წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცია უძღოდა.

1985 წლის შემოდგომის მიწურულსა და ზამთარში დაიწყო საუბარი ტრანსკავკასიურ რკინიგზაზე. ეს მაგისტრალი, რომელსაც უნდა გაევლო ფშავ-ხევსურეთზე, გაეკვეთა კავკასიის ქედი, გადასულიყო ჩრდილო კავკასიაში, ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრებოდა არაგვის ხეობასა და ჩრდილო კავკასიას. ქართულმა საზოგადოებრიობამ აქტიური პროტესტი გამოთქვა ამ პროექტის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები.

უნივერსიტეტის პრესკლუბი

მოგვიანებით ახალი მღელვარება დაიწყო უნივერსიტეტში. სტუდენტებმა გარეჯის ტერიტორიაზე განთავსებული პოლიგონის გაუქმება მოითხოვეს. ეს მღელვარება მალე მთელ საქართველოს მოედო, რადგან სამხედრო პოლიგონზე ყუმბარების სროლამ და ქართულ ეკლესია-მონატრებში ფრესკების დაზიანებამ ყველა აღაშფოთა და განარისხა. გარეჯის გადარჩენის თემას არნახული საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა, რომლის ცენტრში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები იდგნენ.

ამ პერიოდში შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი სტუდენტური ბეჭდვითი ორგანო ,,სტუდენტური ფურცელი", მისი რედაქციის წევრებს პრესკლუბელების სახელით იცნობდნენ საზოგადოებაში. 1988 წლის 25 მარტიდან 23 დეკემბრამდე „სტუდენტური ფურცლის" 11 ნომერი გამოვიდა. გაზეთი მეტად პოპულარული გახდა. რედაქციაში უამრავი წერილი მოდიოდა საქართველოს ყველა რეგიონიდან. ეს პერიოდი სტუდენტური მოძრაობის პიკი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გავლენით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებშიც იქმნებოდა სტუდენტური პრესკლუბები, რომელთა მეშვეობით ქართველი ახალგაზრდობა აქტიურ პროტესტს გამოთქვამდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

დაუჯერებელია, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. საქართველოს დამოუკიდებლობას კვლავ დაემუქრა საფრთხე, არა ცარისტული ან კომუნისტური, არამედ ამჯერად უკვე "დემოკრატიული" რუსეთისგან. ქართველი ახალგაზრდები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლაში მარო მაყაშვილის დაღუპვიდან 87 წლის შემდეგ ისტორია ტრაგიკული სიზუსტით განმეორდებოდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი კვლავ რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა რომ უნივერსიტეტის რექტორს ისევ მოუხდებოდა, მეზობელი სახელმწიფოს მიერ საქართველოს ოკუპირების გამო, მსოფლიო საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის მიემართა მხარდაჭერისათვის.

...ახალგაზრდობაში ლექსებს ვინ არ წერს? — მით უფრო, წიგნზე, საკუთარი ქვეყნისა და სხვა ხალხების კულტურაზე შეყვარებული თუა, სკოლის დამთავრებისთანავე პირველი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი თუ გახდა და თავი ამ ქვეყნის პატრიოტად მიაჩნია... ისიც წერდა ლექსებს, ჩუმად, თავისთვის. სიყვარულზე წერდა, სიკეთეზე და სამშობლოზე წერდა...

,,იამაყებს საქართველო იმ ვაჟკაცი ბიჭებითა,
ვინც იბრძოლა, ვინც დაღვარა სისხლი საქართველოსთვისა
და შეაღეს სამუდამოდ მათ კარები სამოთხისა."

ეს ლექსი შალვა გაბუნიამ 2008 წლის გაზაფხულზე დაწერა. შალვა 1989 წელს დაიბადა. 2006 წელს დაამთავრა ქ. ფოთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სკოლა და იმავე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მომავალ სპეციალობად არაბისტიკა აირჩია. სექტემბრიდან შალვას ქუვეიტის უნივერსიტეტის ენების ცენტრში უნდა ესწავლა არაბული... 2008 წლის 6 აგვისტოს, საქართველოზე რუსეთის ჯარის მიერ განხორციელებული შემოტევის პირველსავე დღეს, სამშობლოს დასაცავად წავიდა. 8 აგვისტოს სენაკის რეზერვისტთა ბანაკის დაბომბვისას ორჯერ გამოიყვანა დაჭრილი მეგობრები სამშვიდობოს, მესამედ ნუღარ წახვალო, — ურჩიეს. არ დაიჯერა, დაჭრილებს დახმარება სჭირდებოდათ... მესამედაც წავიდა და უკვდავებაში გადააბიჯა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართვა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებს

ძვირფასო კოლეგებო!

... რუსეთი მოქმედებს კაცთმოძულე სახელმწიფოს მსგავსად, რომელსაც არ ადარდებს მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა. დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე — მოხუცები, ბავშვები, მოზარდები. რუსული საინფორმაციო საშუალებები სრული დეზინფორმაციის გავრცელებით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. საქართველოს ხელისუფლება ყველა საშუალებით ცდილობს საკუთარი მოქალაქეების აგრესორისგან დაცვას.

21-ე საუკუნეში, როდესაც მთელი მსოფლიო ერთხმად ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს და ესწრაფვის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას, რუსეთი აშკარა იგნორირებას უკეთებს მსოფლიო წესრიგის ცივილურ კანონებს.

საქართველოს დღეს უთანასწორო ბრძოლაში სჭირდება მსოფლიო საზოგადოების თანადგომა ქართველი ერის სუვერენული უფლებების დასაცავად. საქართველოს მხარდამჭერი განცხადება უკვე გააკეთა არაერთმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ, მაგრამ რუსეთი თავის სამოქმედო გეგმას არ ცვლის. ამ ბარბაროსობის შესაჩერებლად მსოფლიო საზოგადოების ალბათ კიდევ უფრო მეტი აქტიურობაა აუცილებელი.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი პროტესტი რუსეთის ავანტიურისტული მოქმედებების წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასაც.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირველეს მოვალეობად მივიჩნევთ ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ინტელექტუალურ ძალთა მობილიზებას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში იმედი გვაქვს, რომ მსოფლიოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება ხმას აიმაღლებს ქართული სახელმწიფოებრიობის დამხობისკენ მიმართული რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიის წინააღმდეგ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა
11 აგვისტო, 2008 წელი

'What could be more delightful and uppermost than the love for the motherland?'

Wrote in her diary a 17-year old Maro Makashvili, a future student of Tbilisi University. It was the year of 1918 and the air was charged with the approaching sinister changes.

'It's not surprising that even women vowed to support the government with arms – a Georgian woman is returning to the ancestral sword together with Georgian youths... students made a unanimous decision to join the military units, no matter whether they were conscripts or not. They are ready to do their patriotic duty.'

Elise, State University.
Newspaper 'Sakartvelo'
December 20, 1918

Two years later Maro Makashvili became a student of Tbilisi State University Philosophy Faculty. She intended to acquire fundamental knowledge in French and English and try her hand at translating European classical literature into Georgian.

In 1921, the troops of Communist Russia forced into the Georgian territory. The threat of losing independence became real.

'Shall we ever be able to breathe freely?! Will our country ever flourish as Eden? ...

Georgian people are brave and daring, they will never allow their homeland to be taken away from them. Love for homeland is uppermost and superior to all the other feelings. Georgia will fight to the last drop of her blood. Victory or death, this is the slogan of the Georgian nation,'

From the diary of Maro Makashvili

The adversities of the forthcoming years badly affected the University life. The independence acquired three years earlier was followed by Georgia's annexation by Soviet Russia. The Founders' Assembly appealed to the Georgian youth and the entire nation to protect the country. The Appeal was actively supported by the University Professors and students. The students going to war in support of freedom were blessed by the Rector.

The situation at the front changed rapidly and, accordingly, a number of measures were taken at Tbilisi State University. Ivane Javakihishvili addressed a letter to the Defense Committee under the presidium of the Founders' Assembly:

'We have the honour to notify you regarding the resolution adopted by the Professors' Board at he extraordinary meeting of February 16, 1921. Due to the situation arisen at the front, concerning which I verbally informed you on the same day: a) the professors, docents, lecturers, assistants and the entire personal scientific-educational staff of Tbilisi State University are ready to dedicate their knowledge, experience and lives to the cause of protection of freedom of the beloved motherland exposed to the gravest danger, in a way you may consider most beneficial for the defence of our homeland. b) The doors of the labs at the faculty of Mathematics and Natural Sciences and the clinics of the Medical Faculty are open for military needs.'

The Georgian cadets put up vicious resistance against the enemy near Kojori village, but the Georgian Army was bleeding and Georgia's occupation was beyond any doubt.

On February 17, at the time when the blasts of Russian canons were heard in the city suburbs, a young, pretty, dutiful student Maro Makashvili enrolled into the Red Cross as a nurse and left for Kojori on the same day, despite the pleas of her family.

'Dear Father, I am well so far... The enemy is still quite far, our men fight without reserve. Everyone is overwhelmed... They're so grateful to me... Could you please send some hazelnuts and some sweets maybe... And fear not, the victory will be on our side, an honourable victory.

Your Maro.'

Several hours later, on the evening of February 19, a shell splinter took the life of the young, fragile girl.

On February 23, Maro Makashvili was buried near the graves of 21 Georgian cadets, not far from the wall of the military church... Several years later communists blew up the Church and on its site built the Government Palace of Soviet Georgia. The resting place of Maro Makashvili was also lost...

'No more longing for life or death...
February chilled my May forever and left!..'

The verse Prince Makashvili published for the first anniversary of his daughter's death was banned by the Soviet censure for many years.

The University students marked the fourth anniversary of its foundation by mourning.

‘January 26 is the day of the establishment of the University. From the very beginning the students recognized this day as traditional and it used to be solemnly celebrated throughout Georgia. After February 25, when Georgia’s independence was violated by the brute, alien forces, the nation grieved for its losses and greeted all solemn celebrations clad in black. Certainly Georgian students, being an integral part of the nation, could not celebrate their traditional day - the spring of national culture - in a usual way, detaching themselves from the common grief.

Thus, January 26 was declared the day of mourning. It was decided to hold a memorial service for the heroes fallen in the battles for the independence of their homeland.’

The notice was printed in Tbilisi State University Students’ Bulletin, which was disseminated by young people.



A written request for Maro Makashvili’s transfer to another faculty with the note - ‘died’.

Students always remain the same ...energetic, tireless dreamers, bearers of national energy....The students of the country that lost its independence are filled with even stronger unbending spirit. The students' resistance against the existing regime changed momentum, losing it at times and gaining it some time later, exploding into the thirst for freedom. The white walls of the University have never been abandoned by the rebellious energy of young Maro Makashvili, fallen in the snow of Tabakhmela. It used to return and then slide behind the time, to appear later with increased strength in the 1942 rebellion of 'Samanelebi' (Young Georgian nationalists fighting for Georgia's prosperity), by the side of the young people protecting the Georgian language in 1978, in the shape of the Students' National-Liberation Movement of the 1990s, or those who fought for the territorial integrity of Georgia on the verge of XX and XXI centuries.

Care for the Georgian Cultural Monuments instead of the Russian Steppes

Students' Expeditions for the restoration of cultural monuments used to be a very special phenomenon for Georgian young people. At the time when Soviet youths spent the third, Komsomol working semesters in Russia's vast valleys or Siberian forests participating in odd construction works, Georgian students made a decision to go to South Georgia to rebuild historic terraces, churches and fortresses. In those days, South Georgia was separated from the rest of the country by the Soviet Border Troops. Usually crossing the border was connected with enormous difficulties. However, even just overcoming this particular difficulty strengthened the sensation that Georgian students expressed their protest against the unitary Soviet regime and ideology and went to the places where they expected to find the hearth and spiritual source of national culture.

University Press Club

The beginning of the students' movement in the 80-ies and 90-ies is connected with the names of the Press Club members, though several important actions preceded its formation.

By the end of the autumn of 1985, talks began regarding the construction of Transcaucasian Railway. The route was to go through Pshavi and Khevsureti, and enter North Caucasus through the Caucasus Range. Ecological disaster loomed over the Aragvi Gorge and North Caucasus. The Georgian society expressed active protest against the project, and the University students put up most active resistance.

Some time later, the unrest burst out at the University anew. Students demanded the removal of the spared firing ground from the territory of Gareji. The turbulence soon spread over the whole Georgia, as the blasts and damage inflicted upon the frescoes of the churches and monasteries enraged everybody. An unparalleled protest movement followed the theme of Gareji rescue, with Tbilisi University students being the driving force of the movement.

During the period, the first students' independent periodical 'Students' leaflet' was launched and the members of the editorial staff were referred to as 'Press Club members'. Eleven issues were printed between March 25 and December 23. The periodical acquired enormous popularity. A great number of letters used to arrive to the editor's office from all the regions of Georgia. This period was the peak of the students' movement. Under the influence of Tbilisi University, press clubs were set up in different higher schools throughout Georgia, with the help of which Georgian youths expressed protest against the Soviet regime.

It is unbelievable, but something really unexpected occurred in XXI century. The independence of Georgia was threatened anew. Not by Tsarist or Soviet, but this time by 'Democratic' Russia. The Georgian youth could not have imagined that 87 years after Maro Makashvili's death in the battle for Georgia's independence , the wheel of history would turn back with the tragic accuracy and a student of Tbilisi State University would fall a victim to Russian aggression; that the rector of the University would be compelled to address the world's academic society for support, due to Georgia's occupation by a neighbouring state.

Who does not try a hand in poetry when young? – especially if you are fond of books, if you adore the culture of your own country and the cultural heritage of other peoples; if you have entered the first Georgian University immediately after finishing school and consider yourself a true patriot of your country... that's what he did, he used to write verses, secretly, for himself. He wrote about Kindness and about his motherland...

Proud shall Georgia be of the brave young,
Who fought and spilt blood for her
and stepped into Eternity.'

Shalva Gabunia wrote this verse in the spring of 2008. He was born in 1989. In 2006 ,Shalva finished Ivane Javakhishvili school in Poti and the same year was admitted to the Faculty of Humanities at Ivane Javakhishvi Tbilisi State University. He chose Arabistics as his future speciality. In September Shalva was due to join the Language Learning Centre in Kuwait University to study Arabic… On August 6, 2008, on the very first day of Russia's assault on Georgia, he went to defend his country. During the air attack on Senaki camp of reservists, he twice carried his wounded friends out of the assaulted territory. Shalva was asked not to make the third attempt, but he would not listen… the wounded were to be helped somehow… so he went back for the third time and stepped into eternity.

Address of Ivane Javakhishvili Tbilisi State University to the European and US Universities

Honourable colleagues,

Russia acts as an inhuman state which has no consideration regarding the number of casualties among the civilian population. Thousands of children, the young, women and the aged were killed as a result of Russian military raids. By broadcasting forged information, Russian mass media is trying to mislead the international community. The Georgian government is taking every effort to protect its population from the aggressors.

In the 21st century, when the whole world is fighting against international terrorism and seeks peaceful relations between the states, Russia is openly ignoring the civilized laws of world order.

In this unfair battle Georgia is in need of support from world community to protect the sovereign rights of the Georgian nation. Although a number of statements in support of Georgia have already been made by numerous states and international organisations, Russia does not change its plan. More active involvement of world community is required to stop this barbarian act.

Therefore, we urge you to express your protest against Russian military intervention, which endangers not only Georgia but also international peace and security.

We consider it the duty of Tbilisi State University to mobilise intellectual power for protecting Georgian state interests against Russian aggression.

In this decisive moment of fight for independence and freedom, we hope that the world university community will protest against Russia's wide-scale military campaign aiming at the annihilation of Georgian state.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Rector,
Professor Giorgi Khubua
August 11, 2008